სახალხო გაზეთი

№ 166 ოთხშაბათი, 24 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванская ул. N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пащалишвили.

თავ. იოსებ, ლევან და შალვა რევაზის ძენი ფალავანდიშვილები, სოფიო რევაზის ასული ჯავროვისა, კნ. ელისაბედ დიმიტრის ასული, ნინა ვასილის ასული და ელენე იოსების ასული ფალავანდიშვილებისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველისა და მეორესი საყვარელის დისას და დანარჩენების—მულის—კნეინა

ელენე რევაზის ასულის ჯავახოვისას

(კნიაჟნა ფალავანდოვისას), რომლის გვამის დაკრძალვაც იქნება 25 ნოემბერს დილის 10 საათზედ. სოფ. კნოლევში წმინდა გიორგის ეკლესიაში, პანაშვიდი ყოველ დღე დილის 12 საათზედ და საღამ. 5 საათზე. (1—238—1)

რ. ა. პორტუგალოვისა
ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან
დიდი ძალი
ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები
იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

ქალების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—43)

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 26.
ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ლევ ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემლად
მეუფება წყვდიადისა,
დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ლევ ტოლსტოისა, მეველეს თარგმანი.
წარმოდგენის დაწყებამდე წაკითხულ იქნება რეფერატი
აპოთეოზი
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალ. მესხიშვილი.
ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.
მზადდება წარმოსადგენად: „ყაჩაღები", „ზოგი ჭკუა მარგებლია", ნორჩი თაობა", „ქალის ჭკუა", „მისს გობს" და სხვ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.
სოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—б.—333)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს., კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალთა ავად., 1—2. ს.
ა. [illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვა დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
მ. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 [illegible] შინაგანი და ბავშვების [illegible] ავადმყოფობანი
[illegible] მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—б.—496)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.
მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.
ნოვიცევი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.
უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.
რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.
ხარაბ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.
ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ითხელიანიანი—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.
დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 ნახ. საათ. 10 ნახევარ ს. ყოველ დღე.
პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ დღე 2—3 საათ.
ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.
კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათიშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—б.—24)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

ექიმი ე. ი. მინასიანცი სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—30)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—20)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—б.—89)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგინოვის ქუჩა N 7. თ.—180—38

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (60—170—14)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—270

ტფილისი, 24 ნოემბერი

ისევ ეროვნული საკითხი. ეროვნულ საკითხს ბევრი მწერალი და ბევრი მოღვაწე აულაპარაკებია ყველნაირ კილოზე. ბევრი შეუწყნარებელი აზრი წარმოუთქმევინებია მათთვის და ბევრი ფუჭი ოცნება აუთამაშებია. ეროვნულ საკითხის ნიადაგზე ამართულ გოდოლს თავისებურ გვირგვინს ადგამს სხვათა შორის ქართულ-რუსული გაზეთი „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე".

ამ გაზეთის ფიქრით, ნაციონალური პრობლემა თავის-თავად, როცა მას სხვა, გარეშე, საკითხები და ინტერესები არ ერთვის, მეტის მეტად მარტივი და ადვილი გადასაწყვეტია. ნაციონალური პრობლემა თავის წმინდა სახით გულისხმობს მხოლოდ განსაზღვრულ ეროვნებათა ნაციონალურ კულტურას და სულიერ სიმდიდრეს, ენას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ტრადიციებს და სხვას. ამიტომ, „ზაკ. ობოზრ." აზრით, ერთის ერის ნაციონალიზმი სრულებით არ ეწინააღმდეგება სხვა ერის ნაციონალიზმს, თითოეულს მათგანს საკუთარი ასპარეზი აქვს და არც ერთისთვის არ არის საჭირო და სასარგებლო, მეორე ერის ნაციონალური განვითარება შეფერხდეს. ერთის სიტყვით ნაციონალურ ნიადაგზე თავის თავად ბრძოლა და წინააღმდეგობა შეუძლებელია. გაზეთს მხოლოდ იმაზე სტკივა გული, რომ ნაციონალურ საკითხს სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტები შეუფერებლივ ართულებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესების წამატებით. უბედურების თავი და ბოლო ეს წამატებაა. ჩამოაშორეთ ეროვნულ პრობლემას ეკონომიური და პოლიტიკური მომენტები, გაასუფთავეთ იგი ამ გარეშე ელემენტებისაგან და დაინახავთ, რომ თვით უღარიბესი ნაციონალური კულტურაც კი უკვდავია...

„ზაკავ. ობოზრ."-ს აზრთა განვითარებას ფეხდაფეხ აღარ გავყვებით. აქედანაც უკვე სრულიად ნათლად სჩანს, რა შორს არიან იმისი პუბლიცისტები თანამედროვე ნაციონალურ პრობლემის შეგნებისაგან. მათ ჰგონიათ, რომ ნაციონალური კულტურა განკერძოვებული რამ ოდნობაა, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესების გარეშე იმყოფება. მათ ჰგონიათ, რომ ჭკუის ძალდატანებით მოხდენილი განცალკევება ნაციონალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესების სინამდვილეა და არა მხოლოდ წმინდა გონების და წმინდა ფანტაზიის ჩვენება. ვის უნახავს ნაციონალური კულტურა, რომელსაც განუყრელი კავშირი არა აქვს ერის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან? ვის უნახავს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება, რომელსაც განსაზღვრული ნაციონალური სახე არა აქვს? ვის და რას შეუძლიან ნამდვილად ამ განუყრელ ელემენტების ერთმანეთისაგან განშორება, გარდა ოცნებისა?! „ზაკავ. ობოზრენიე"-ს კი ჰგონია, რომ არსებობს წმინდა ნაციონალური პრობლემა, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტი ადამიანები ართულებენ და აბნელებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხების ზედ-დართვით. ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიც, ვთქვათ, ის იქნებოდა, ფიზიოლოგის რომელსამე მეცნიერს რომ ეთქვა, არსებობს თავის-თავად ადამიანის გული, ფილტვი, ტვინი, თავი და სხვა, და ამ ნაწილების შეერთება ჰქმნის ადამიანსაო.

აბსტრაქციებით თამაშობა არსად არ არის შესაწყნარებელი, ხოლო განსაკუთრებით კი შეუწყნარებელია იგი პუბლიცისტიკაში. აბსტრაქტულ თამაშობისაგან წარმომდგარი qui pro quo სხვაგან ყოველთვის საჩქაროდ მჟღავნდება, ცდის შემწეობით, პუბლიცისტიკაში კი ექსპერიმენტების მოხდენა შეუძლებელია. გულუბრყვილო მკითხველს ადვილად შეიძლება მოეჩვენოს, — „ზაკ. ობოზ."-ს პუბლიცისტი სიმართლეს ღაღადებსო; — ნამდვილად კი ეს სიმართლე კი არა, აზრის უკუღმა შეტრიალებაა და რეალურ ცხოვრების ყირამალა დაყენება. თავის-თავად ცხადია, აზრის და ფიქრის გაუკუღმართებას მუდამ უკუღმართ დასკვნამდე მიჰყავს ადამიანი. ასე ემართება ამ შემთხვევაშიაც ჩვენს პუბლიცისტს.

„ზაკავ. ობოზრ."-ს პუბლიცისტი პირველ წერილში ქვეყანას არწმუნებდა, ნაციონალური ბრძოლა და განხეთქილება სასტიკ ფორმებს იღებს და ამ ბრძოლის გასანელებლად საჭიროა ინტელიგენციის ინტერნაციონალური კავშირიო. ახლა კი, სულ რამდენისამე დღის შემდეგ, გვარწმუნებს, თავის-თავად ნაციონალურ ნიადაგზე ბრძოლა შეუძლებელია, ნაციონალურ ინტერესების სახელით სხვა და სხვა ეკონომიური ჯგუფები ებრძვიან ერთმანეთს და ჩვენ ინტერნაციონალური კავშირი იმიტომ გვინდა, რომ ვებრძოლოთ იმათ, ვინც კლასსურ, წოდებრივ და სხვა გვარ სოციალ-ეკონომიურ ბრძოლაში ნაციონალიზმს იხვევს ხელზეო. კარგი და პატიოსანი, გულკეთილო პუბლიცისტო! მაგრამ ვინ უნდა შეადგინოს თქვენგან განზრახული ინტერნაციონალური კავშირი? ვისაც ეკონომიური ინტერესი ბრძოლას უკარნახებს, იმას თქვენი ტკბილი სიმღერა ვერ მოალბობს, ხოლო ვინც ამ ინტერესებით ეროვნულ ბრძოლაში ჩარეული არ არის, იმისთვის არც ინტერნაციონალური ორგანიზაციებია საჭირო, ის უამისოდაც არავის ებრძვის, თქვენისავე რწმენით. მაშ რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს ინტერნაციონალური ორგანიზაცია? — არაფრისთვის და არავისთვის. თუ დაამტკიცა რამე „ზაკავ. ობოზრ."-ს პუბლიცისტმა თავის მეორე წერილით, სწორედ მხოლოდ ის, რომ ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს არც საფუძველი აქვს რამე და არც მიზანი.

ჩვენებურ ინტერნაციონალისტებს ერთი საოცარი ზნე სჭირთ. ჯერ დიდის ფართი-ფურთით მოჰყვებიან ლაპარაკს საერთო ინტერესებზე და ამ ინტერესების ჰარმონიზაციაზე და ბოლოს იმით ათავებენ საქმეს, რომ ქვეყნის დამღუპველ ნაციონალისტებს უცხადებენ ომს ნაციონალიზმის სახელითვე. ჩვენის ღრმა რწმენით, ნაციონალიზმის სახელით ნაციონალისტებთანვე ბრძოლა იმ ძირითად უკუღმართობის გამომხატავია, რომელსაც ჩვენებურ ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილი განიცდის. ამ ინტელიგენციას ფაქტიურად ნაციონალური სახე უკვე დაკარგული აქვს, მაგრამ იგი ვერა ჰბედავს პირდაპირ დაიცვას თავისი დენაციონალიზაცია და სცდილობს ინტერნაციონალიზმის სახელით გაასაღოს ის, რაც ნამდვილად ნაციონალურ კულტურისაკენ ზურგის შექცევაა. საყურადღებოა, რომ „ზაკ. ობოზრ."-ს პუბლიცისტს ნაციონალიზმი და ნაციონალური კულტურა წარმოდგენილი აქვს ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებისაგან განყენებით. ბუნებრივ ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილ ადამიანისთვის ასეთი წარმოდგენა შეუძლებელია. იმისთვის ცხოვრებას სხვა და სხვა მხარე აქვს, მაგრამ არც ერთი საკითხი არ შეიძლება გადასწყდეს სხვებისაგან დამოუკიდებლივ. ჩვენის აზრით, სალი პასუხი ჩვენის ცხოვრების ყველა საკითხებზე სწორედ ამ მიმართულებაზე უნდა მოიძებნოს. ნაციონალური, ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები ცალ-ცალკე დეე იმათ დაალაგონ, ვისაც აზრთა თამაში აინტერესებს; ჩვენის რწმენით კი, ურთიერთმახეთოდ ეს საკითხები ვერასოდეს ვერ გადასწყდებიან.

სახელმწიფო სათათბირო

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

მანიუტინი მოხსენებას არდგენს საქალაქო ბანკთა და დნეპრის მეზღვაურთა სამოსახლოების მიზომვის თაობაზე. მისი რედაქცია სახელმწიფო საბჭოში წარსადგენად მიიღეს.

კამათი სამოსწავლო საბჭოთა შესახებ სწარმოებს.

მე-74 მუხლს იხილავენ. **ტიჩინინის** შესწორებით, რომ საბჭოს საქმის მწარმოებელი საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვიოს, მიღებულია.

მე-75 მუხლი ამბობს, რომ საბჭოში არჩეულ და დანიშნულ წევრთ თანაბარი უფლებანი ჰქონდეთო. ამ მუხლს კადეტთა შესწორებით ღებულობენ. ეს შესწორება ამბობს, რომ საგუბერნიო სამოსწავლო საბჭოს წევრთ ადგილობრივ ამორჩეულთა რიცხვი უნდა სჭარბობდეს.

მე-84 მუხლი საგუბერნიო სამოსწავლო საბჭოთა უფლებას განსაზღვრავს.

მე-88 მუხლი პირველ-დაწყებით სკოლისა და მზრუნველების მოვალეობას განსაზღვრავს.

მე-91 მუხლი თვითეულ სკოლის სამზრუნველოს უფლებას განმარტავს.

მე-91 მუხლი ამბობს, რომ თუ სკოლა მთლიანად ხაზინის ხარჯით ინახება, სამზრუნველოს წევრებად, სკოლის შემნახველთა მაგიერ, ინსპექტორებისა და უწყების მიერ არჩეული პირნი უნდა იყვნენო.

მე-101 მუხლი განმარტავს პირველ-დაწყებით სკოლების უფლებასა და ქონებას.

მე-91 მუხლი მიღებულია კადეტთა შესწორებით, რომ სამზრუნველოს წევრებად უნდა იყვნენ სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

მე-87 მუხლი მიღებულია ტიჩინინის შესწორებით, რომ საგუბერნიო სამოსწავლო საბჭოთა საქმის მწარმოებელს საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო სკოლათა დირექტორთან შეთანხმებით, ჰნიშნავდეს.

სათათბირო მე-193 მუხლს ღებულობს, რომელიც ამბობს, რომ მასწავლებლები ხუთის წლის სამსახურისათვის პირად აზნაურის ხარისხს ღებულობენ, ხოლო ოცის წლის სამსახურისათვის — შთამომავლობით საპატიო მოქალაქის წოდებას.

მე-104 მუხლი მასწავლებელთა ნივთიერ მხარეს ეხება.

ლაპარაკობენ: ვორონცოვი, ტიჩინინი, პეტროვი მესამე, ვოლკოვი მეორე, კროპოტოვი, ნეკლიუდოვი და ტიტოვი. ეს ორატორები ერთის მხრივ თხოულობენ, რომ მასწავლებელს ჯამაგირები მოემატოთ, მეორეს მხრივ—მასწავლებელთა შვილები უმაღლეს, საშუალო და მდაბალ სასწავლებელში უსასყიდლოდ სწავლობდნენ.

მარკოვი მეორე წინადადებას იძლევა, რომ მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობა იმ დრომდე გადაიდოს, სანამ საყოველთაო სწავლა არ განხორციელდება.

ალექსეევი დაბეჯითებით თხოულობს, რომ პოლონეთის სამეფოში პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებლების ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა გააუმჯობესონ.

მე-10 მუხლი შრომის ჯგუფის შესწორებითაა მიღებული. ეს შესწორება ამბობს: იმ მასწავლებელთ, რომელნიც ხაზინის დახმარებითაც იღებენ ჯამაგირს დაუნიშნოთ წელიწადში არა ნაკლებ 360 მანეთისა". ეს ჯამაგირი ყოველ სამ წლის მერე გადიდდება 60 მანათით. სამღვთო სჯულის მასწავლებელს,—მღვდელსა თუ ერის კაცს,—წელიწადში 60 მანათზე ნაკლები არ უნდა ეძლეოდეს.

ტიჩინინის შესწორებით, მასწავლებელთა შვილები ქალთა და ვაჟთა უმაღლეს, საშუალო და მდაბალ სკოლებში სწავლის ფულისაგან თავისუფლდებიან.

სათათბირო ღებულობს **ვორონკოვის** შესწორებას, რომ მასწავლებელთ სახელმწიფო სამსახური საპენსიო წლებში მიღებაში ჩაერიცხოთ.

ტომილოვის წინადადებას ღებულობენ: „სახალხო განათლების სამინისტრომ, მახლობელ დროს განმავლობაში შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომ ციმბირსა და არხალგენის გუბერნიებში, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, მასწავლებელთ დამატებითი ჯილდოდ ხაზინის ეძლეოდეთ მე-104 მუხლში განმარტებული ჯამაგირი დამატებად.

სათათბირო მორიგ საქმეებზე გადადის. სათათბირო ღებულობს აგრეთვე კომისიის სურვილს, რომ პირველ შეძლებისამებრ და სახელმწიფო ხაზინის შეძლების მიხედვით, სახალხო განათლების სამინისტრომ კანონ-პროექტი წარმოადგინოს პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირების მომატების თაობაზე.

კომისიის რედაქციით ღებულობენ პროექტს მეცხრე განყოფილებას, რომელიც სამეურნეო ერთკლასიან სკოლაში და ორ-კლასიან სამინისტრო სკოლაში კურსდამთავრებულ და აგრეთვე პირველდაწყებითსა და ორკლასიან სკოლებში ეგზამენის დამჭერთა მიენიჭოთ შესაფერი უფლებანი და უპირატესობანი. ეს მუხლი უკამათოდაა მიღებული.

კაპუსტინი ამბობს, რომ, რადგანაც ნაადრევია, საყოველთაო სწავლას ნუ დავაკანონებთო.

სუშკოვი. ამტკიცებს, რომ სათათბიროს მიერ მიღებული სასკოლო პროექტი, სახელმწიფო საბჭოში არ გავა, რადგანაც იქ უფრო განათლებული, უფრო გამოცდილი და უფრო ჭკვიანი ხალხი სხედსო.

პლიუშევი ვრცელის სიტყვით ასაბუთებს, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში საყოველთაო სწავლის საქმე კარგადაა დაყენებული და დასძენს, რომ საყოველთაო სწავლა რუსეთშიაც უნდა შემოვიღოთო.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

პეკინი ჩილის პროვინციის დეპუტატთა ერთი ჯგუფი, რომელნიც პარლამენტის გახსნის დაშურებას თხოულობენ, მანჯურიაში მიემგზავრება, რათა ადგილობრივ გაეცნონ პოლიტიკურს მდგომარეობას.

სტამბოლი. ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით 116 გახდა ავად, გარდაიცვალა—65.

ლონდონი. ულლოდენის მახლობლად მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ; ფიქრობენ, რომ ბევრი მსხვერპლია. ბევრი დაშავებულა.

დღის 12 საათამდე არჩეულია 52 ლიბერალი, 65 უნიონისტი, 8 მუშათა პარტიისა 5 რედმინდის მომხრე.

სოფია. მეფე ფერდინანდი და ტახტის მემკვიდრე აეროპლანით აფრინდნენ. ხალხმა ოვაციები გაუმართა.

ვენა. იმპერატორმა სიხეიმო დარბაზობაში რუსეთის ახალი ელჩი მიიღო.

ლონდონი საღამოს 5 საათამდე არჩეულია 58 ლიბერალი, 80 უნიონისტი, 8 მუშათა პარტიისა, 15 რედმონდის მომხრე.

სტამბოლი. დეპუტატთა პალატაში ოპოზიციის ორატორმა იზმაილ ხაკი ფაშამ საშინლად გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა და რეფორმების საქმეში უსისტემობა და უმოქმედობა უსაყვედურა; აღნიშნა აგრეთვე, რომ მთავრობა გარეშე პოლიტიკაში სასტიკი და შემცდარია.

ლონდონი. შაბათს მიუნხენიდან აეროპლანით სამნი გაემგზავრნენ შვეიცარიისკენ. პირ-ქარმა აეროპლანს გეზი შეუცვალა და მფრინავნი ორკანის კუნძულზე ჩამოეშვნენ. ზღვაზე გადაფრენის დროს ერთი მგზავრი საფრენიდან გადმოვარდა.

რუსეთი

კიევი. ორი ფოსტის მოხელე დაატუსაღეს, რომელთაც ამანათების გარჩევის დროს 10 ათას მანეთიანი ამანათი მოიპარეს. მათ ამ ფულის ერთი ნაწილი აღმოაჩნდათ.

ლოძი. სამმა შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედმა ბრაუნინგით ორი ჩაფარი მოჰკლა.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 1, ავად არის 12.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 22 ნოემბერს საბჭოს კრებას 53 ხმოსანი დაესწრო. ამ დღეს, სხვათა შორის, საბჭოს უნდა აერჩია ქალაქის გამგეობის წევრი, მაგრამ არჩევანი მომავალ ორშაბათისთვის გადაიდო, რადგან ხმოსნებს ჯერ არ გამოურკვევიათ, ვისი კანდიდატურა წამოაყენონ ამ თანამდებობაზე. საბჭო ამის შემდეგ შეუდგა სხვა საგანთა განხილვას და დაადგინა: 1) მიტანილ იქნას ქალაქის მომავალი წლის ხარჯ-აღრიცხვაში 1.600 მან. 85 კაპ. ეს ფული უნდა მიეცეს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკს იმ შენობის გარდა, რომელშიაც ქალაქის მეორე თავშესაფარია მოთავსებული, 2) მიეცეს ჯამაგირად თვეში 70 მან. სახელოსნო სასწავლებლის იმ მასწავლებელთა, რომელნიც ამას წინად იქმნენ მოწვეულნი, 3) იკისროს ქალაქმა თავის თავზე 3.403 მანეთი, რომელიც დაიხარჯა თავ. ჩერქეზიშვილის დასაფლავებაზე და 4) განიხილოს მომავალ კრებაზე თავ. ჩოლოყაშვილის პირობანი ტფილისში საგაზო ქარხნის მოწყობის კონცესიის შესახებ.

◆ **რედაქტორების საქმე.** 22 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია ჩვენის გაზეთის რედაქტორ გამომცემლის იროდიონ სონღულაშვილის საქმე, რომელსაც ბრალს სდებდნენ სისხლის სამართლის მე-129 მუხლის პირველ პარაგრაფის ძალით. სასამართლომ ბ. სონღულაშვილი დამნაშავედ იცნო და ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. ამავ დღეს პალატამ სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა გაზეთ „საქმე"-ს რედაქტორს გიორგი ყარაშვილს.

◆ **ტფ. ქალაქის ახალი სესხი.** ხმოსანთა ჯგუფს ა. ბაბოვის მეთაურობით წინადადება შეაქვს, რომ ქალაქმა 1—2 მილიონ მანათის ახალი სესხი აიღოს. ამ ფულით სურთ უკანასკნელ წლების დეფიციტი დაჰფარონ, რაც 500,000 მანეთს უდრის და სესხიც გაისტუმრონ, რომელიც 600 ათას მანეთს უდრის: ამავე ფულით სურთ ახალი საყასბო და ელექტრონის სადგური მოაწყონ.

◆ **ქართული საღამო ლევ ტოლსტოის პატივსაცემლად.** ხვალ ქართულს თეატრში გაიმართება ქართული საღამო ლევ ტოლსტოის ხსოვნის პატივსაცემლად. ამ დღეს პირველად წარმოდგენილი იქნება ქართულად ტოლსტოის შესანიშნავი დრამა „მეუფება წყვდიადისა", რომელიც გადმოთარგმნილია დ. მეველესაგან ამ ათიოდე წლის წინედ და ცალკე არის გამოსული, პიესას სდგამს ვლ. ალექსიმესხიშვილი. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. წარმოდგენის დაწყებამდე შესაფერ რეფერატს წაიკითხავს ილია ნაკაშიძე. დასასრულ გაიმართება აპოთეოზი—ცხოველი სურათები: ტოლსტოი თავის ხელოვნურს ქმნილებათა შორის.

◆ **სამძიმრის დეპეშა.** ჩვენმა რედაქციამ ქ. პეტერბურგიდან შემდეგი სამძიმარი მიიღო: „გულწრფელად ვწუხვართ კარგი ადამიანის და სასარგებლო საზოგადო მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის უდროოდ დაკარგვას. ევგენი გეგეჭკორი და კარლო ჩხეიძე".

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი.** განჯის ქალაქის თვითმართველობამ 26 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა, რომ ტფილისში უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, საქალაქო თანხიდან ყოველწლიურად 2 ათასი მანეთი აძლიოს.

◆ **ჯამაგირების მომატება.** ტფ. ქალაქის ერთმა ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალაქის გამგეობის მეორის წევრს 3,600 [illegible] 5,000 მანეთი დაენიშნოს.

◆ **არეულობა ციხეში.** ბათუმის ციხეში 18 ნოემბერს ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს. მიზეზი ის იყო, რომ ციხის მმართველობამ დილით ჩხრეკა და [illegible] დალაგება დააწესა. მეცხრე კამერიდან დარაჯ სალდათებს ქვა ესროლეს. დარაჯებმა ესროლეს და მძიმედ დასჭრეს ტუსაღი მიხეილ ლეთუაშვილი. დაჭრილი 19 ნოემბერს ღამით გარდაიცვალა.

◆ **მადლობა.** ქ. კიევიდან გვწერენ: „წარსულ ზაფხულში, უკრაინელ პოეტის გრინჩენკოს შესახებ, „სახალხო გაზეთში" წერილი იყო მოთავსებული, რომელიც გაზ. „Рада"-მ გადასთარგმნა. გაზეთის ეს ნომერი „სახალხო გაზეთის" რედაქციამ გამოუგზავნა გრინჩენკოს მეუღლეს. მან კვლავ დაწვრილებით გადაგვითარგმნინა ეს წერილი, რომლისთვისაც დიდი მადლობა უძღვნა ქართულ პრესას".

◆ **ნ. მარის ახალი შრომა.** როგორც პეტერბურგიდან გვწერენ, სამეცნიერო აკადემიას გამოუცია აკადემიკოს ნ. მარის ახალი მეცნიერული შრომა: „Грамматика Чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматіей и словаремъ". იმავე აკადემიაში იბეჭდება: 1) ი. ყიფშიძის (სტ. აღმოსავლეთის ფაკულტ.) „Дополнительныя свѣдѣнія о Чанскомъ языкѣ". მზადდება დასაბეჭდად მისივე: „Грамматика мингрельскаго языка" და 3) ნ. მარის: „Грамматика сванскаго Языка".

◆ **საინტერესო საღამო.** როგორც გადმოგვცეს, შაბათს, 27 ნოემბერს, ქართულ თეატრში იმართება ფრიად საყურადღებო საღამო, სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებით. დადგმული იქნება ცოცხალი სურათები. მონაწილეობას იღებენ მრავალი ახალგაზრდა მწერლები, დამკვრელები და მომღერლები. წარმოადგენენ ერთს პიესასაც. ასეთი საღამო შარშანაც იყო

ყორანს

რას ჩამომყეფავ, ყორანო,
რას დამტრიალებ თავზედა,
ტიალო, ნუ თუ არ გეყო
ლეში ეკლიანს გზაზედა!
შენს ჯიბრზე ისე გავხმები
ხორცი ვერ ჰნახო ძვალზედა,
მხოლოდ ერთს ვნანობ: დედაჩემს
ვერ მივეყრდნობი მკლავზედა!
რომ დამიტიროს მოხუცმა,
მით მაინც გული იჯეროს
და მის კალთაში, ვით გედმა,
ჩონგურმა ამომღეროს!
რას დამტრიალებ, ყორანო,
უცხოელს უცხო მხარეში,
ჩემს უნებურად მოვსულვარ
ჩრდილოეთ არე-მარეში,
თან მომყვა მხოლოდ მე გული,
შეჩვეულია ვარამსა,
არც აქ მოკვდება ტირილით
არც აქ დაუთმობს ძალასა.
კავკასიონის ქედებზე
ვისწავლე მწარე ნაღველი,
იქავე ზიზღი მასწავლეს,
ბრძოლის იქვე ვარ მნახველი;
და აქაც, უცხო მხარეში,
ჩანგს თუ შეაწყდა სიმები,
ისევ მას ვიტყვი, რაც მითქვამს:
ვკვდები—არ ვემორჩილები!
სიკვდილის პირის ფარეშო,
რას დამტრიალებ თავზედა,
მომეცა, თვალი მოვავლო
შორს, შორს, სამშობლოს ცაზედა!

ი. ევდოშვილი.

უკვდავი არის ამაოება!..

ნოველა.

(ვუძღვნი ია ეკალაძესა და ალ. შანშიაშვილს).

ა

„სასას ააქვას წყეული ენა, ჩანგს დაუქმებულს დასწყდნენ სიმები, თუ დაგივიწყოთ შენ იერუსალიმ, თუ მტერს უმღეროთ ჩვენ სიონის საგალობელი!"—ასე მოსთქვამდნენ ისრაილნი ბაბილონის მდინარეთ პირას და მათ თვალთაგან გადმოღვრილი, ცრემლის ნიაღვარი მდინარეს უერთდებოდა, მხოლოდ გამარჯვებულნი მზაკვრულის ღიმილით ეკითხებოდნენ: „რას მოგიწყენიათ, რას ნაღვლობთ, აიღეთ ქნარი და იგალობეთო". მაგრამ საყოველთაო იყო დუმილი... „ვერ ვულალატებთ საფლავთა მცნებას და სისხლით მოსვრილ აჩრდილთა სახეთ, საფლავში შეძრწუნდებიან მკვდრები წინაპართა, როს მოესმებათ სიონის საგალობელი. შერცხვენილ შვილთაგან ნამღერი. ჩვენ თაყვანს-ვსცემთ მოგონებას ერთხელ ნეტარის ჩვენის მამულისას"—ყრუდ ისმოდა და ბუტბუტით იმეორებდა ამ სიტყვებს მდინარე. ცა დაღვრემილი... ცა მეწამულ პორფირ-მოსხმული თითქოს მათ ტანჯვას თანაუგრძნობსო, ცრემლებად დნებოდა, მხოლოდ ხან და ხან ელვა თუ გაანათებდა ცის კიდურს, და მიკლანკ-მოკლანკავდა ნათელ სხივებს. შემოდგომის ღამეს ლალად გაეშალა კალთები. მისი ცივ გულს არ ხვდებოდა დატყვევებულთა მოთქმა, ქვითინი... ცა აყუდებულნი მდუმარედ იდგნენ ბნელში მაღალი მთები. მათ არც კი იცოდნენ, თუ მათ გარშემო რა ხდებოდა... შეირხა ლერწამი, ჩაიკეცა. გამოჩნდნენ, როგორც ლანდები, რამდენიმე კაცნი და სიფრთხილით მდინარესკენ გასწიეს:

— ჩუმად.

— ნავი მზად არის?

— დედილო, მგონი გვეღირსოს თავისუფლება?

— იყუჩე შვილო...

— აუ, რა გულ-საკლავად მოსთქვამენ.

— ისინი ჩვენი ძმებია.

— ყრუა, ყრუ.

— ვინ?

— იეჰოვა, განა არ ესმის ჩვენი ტანჯვა, განა არ უწყის, რომ ცრემლით მოვრწყეთ ბაბილონელთა მხარე?

— როგორ არა.

— მერე სად არის?

— „დაუწყებ შენ იმას ძახილს და ის ხმას არ მოგცემს",—ასე ამბობდა ის, ვინც ჩვენ ჩავაქვავეთ.

— სიცრუეა. ვერ დავიჯერებ უბედურების გამჩენი ბედნიერი იყოს. ჩვენზედ უნდა იყაროს ჯავრი, განა ბაბილონელნი არ ამაგრებენ მას, რისთვის მათზე არ აღიმართა შურის მაძიებელი მისი ხელი?..

— გადაიღო.

— ქარიშხალი ჩადგა, აღარ ქვითინებს, ტალღებიც აღარ ზუზუნებენ.

— მთვარემ ლაჟვარდოვან სივრცეში შეისრიალა, ის ხომ მუდამ მწუხარე იყო. ჰხედავ, ეხლა ისიც დასცინის ჩვენს სიბეჩავეს.

— აუ, რა გულ-საკლავი ხმებია, რა მწარედ მოსთქვამს საწყალი ბიძია ნოქსი.

— ის ვერ აიტანს უთუოდ ტანჯვას.

— მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება... „ღამის განთიადზედ, რომ გადაიშლება, მწვანე მზე დააჭერს და გახმება..."

— ფოთოლი, შემოდგომისას რომ ჩამოსცვივა.

— სცოცხლობ და იტანჯები... ცხოვრება, ხომ ტანჯვაა!..

— რაც დღეს სიმართლე გგონია, ხვალ ტყუილია, შორიდან მეჩვენება ბედნიერება ახლო მიხვალ და არ არი.

— ტანჯვა, ვაება, ცრემლი მდუღარე, და მაინც გიცდის ბოლოს სამარე.

— ქვეყნად ყოველი გამოიცვლება, ამაოება მხოლოდ არ კვდება.

— უკვდავი არის ამაოება...

— ჩუ, ის ხმები კიდევ გასწვდის ყურებში.

— საბრალო ბიძია ნოქსი! ის უთუოდ ამ ღამეს მოკვდება...

...ბევრი სხვა ხმები ჩანთქა კიდევ ღამის წყვდიადმა, მაგრამ ამ დროს ნავი კლდეს დაეჯახა და შუა გატყდა. მდინარემ პირი უყო და ცივ, სველ წიაღში ჩაიკრა მსხვერპლნი... დაღუპულთა კვნესა მალე მისწყდა, მხოლოდ ტალღები ზუზუნებდნენ და ნოქსის მოთქმა შორს ისმოდა.

— უკვდავი არის ამაოება... გადიხარხარა ცაში სატანამ და მის ქნარზედ ავი სულები მასვე იმეორებდნენ: „ძენო კაცთანო! მარად სტიროდეთ, სანამ ცოცხალი ხართ, არ გეღირსებათ თქვენზე ცნობისა და შემდეგ ყველას გელისთ სამარე"... ამ სიმღერას იმეორებდნენ მდინარის ტალღები, მაღალნი მთანიც ყურს უგდებდნენ, მხოლოდ ნიავმა დაიტაცა ეს ხმა და მწარედ აქვითინდა. იმისთვის არის, რომ განთიადისას და მწუხრისას მოსთქვამს და ქვითინებს...

ბ.

... ის იყო დღე ღამემ შესცვალა და შავ განიერ ფრთებში გამოხვია სოფელი, რომ გამჭვირვალე ზეწარში დამალა მისი ცოდვები. ნილოსი ლურჯ კამკამა ზვირთებს მიაგორებდა და თან მოსთქვამდა ნაღვლიან ხმაზედ. ეს ტირილი მას იზიდამ ასწავლა, როცა ის ოზირისის ძებნაში უსასოდ სტიროდა, ცრემლებით რწყავდა ნილოსის ნაპირებს. შავი ნიჩბი გაშლილიყო ნაპირის ახლოს, ალბად მსხვერპლს მოელოდა, პირი უშნოდ დაეღო.

— ეს ნიაღვარი ჩვენ ბედისწერას გვაგონებს, ჩემო კარგო, ეუბნებოდა ანტონიოსი კლეოპატრას. განა ისიც პირდაღებული არ გვიცდის, როდის გადავიჩეხებით არყოფნის უფსკრულში?

— ოჰ კარგი. კარგი შენ სულ განსაცდელი გეზმანება. „ისარგებლე სიცოცხლით ცოცხალმაო"—სთქვეს ღმერთებმა.

— ესე იგი არ დამიშლი, რომ გაკოცო, ღიმილით უთხრა ანტონიოსმა და მხურვალე კოცნა აღბეჭდა კლეოპატრას ცხოველ ბაგეზედ.— უბედური ტრო ერთის კოცნისთვის დაიღუპა.

— შენ ის გინდა სთქვა, რომ მე ვიქნები მიზეზი შენის უბედურებისა?

— ოჰ არა, არა—განა შეიძლება ჩემი ცხოვრების უშენოდ წარმოდგენა. უსაზღვრო იყო ჩემი მეფობა კეისრის შემდეგ, მე ვიყავ მბრძანებელი რომისა და დღეს, ხომ ხედავ, ვსდგევარ აგერ ნილოსის ნაპირას და ყველაფერი შენ შემოგწირე. იქნებ გგონია, გაყვედრიდე, არა, არასდროს!.. შენ ხარ ჩემი ცხოვრების ნავთსაყუდელი, შენთან არ ვგრძნობ მე მარტოობას, ჩემი სულის ლაბირინტი შენით არის აღვსილი; როცა შენ გიმზერ, ქვეყნიერება მაშინ ჩემთვის აღარ არსებობს, რალაც მთელს ჰარმონიას ელამუნება სული და ჩემამდი არ მოდის ცხოვრების კაეშნიანი ძახილი, შენ ხარ მზის ასული, მისებრ ცხოველი, შენს თვალებში სდგას აკვანი ოცნებისა და ასე მგონია, ამ ღამეში ვხედავ ორ მზეს. რომ შემეძლოს, მთვარისა და მოციმციმე ვარსკვლავების სხივებით მოგიქსოვდე დიადემას; და მოწამლული პორფირი, ხელას რომ მოუსხამს, შენს ღვთიურ თავს დაამშვენებდა. გესმის, კლეოპატრა, შენს გარეშე არ არსებობს ბედნიერება, ტყუილად სთვლიან კეისრები თავს უკვდავად, მხოლოდ შენს მომხიბლავ წიაღში განისვენებს ნებიერად უკვდავება.

ხმა წყვდიადიდან: „სულის გზნება მალე გაჰქრება, ვით ბინდი ღამისა, როს გათენდება".

— ჩუ, ხმა ისმის!..

ხმა წყვდიადიდან: „ისე კაცს არაფერი არ მოატყუებს, ვით ავხორცობა".

— ჩუ, ეს სიტყვები მე სადღაც გამიგონია!

— მგონი პლატონმა სთქვა!

— ვინ, უნდა იყოს?

— მე დიდი ხანია მესმის ეს ხმა!

— ეს ხმაა იდუმალი.

— ეს ხმაა მფარველი გენიისა.

— ნუ თუ!

— როგორ ყორანივით გვიქადის უბედურებას.

... ოქტავიანესაგან დამარცხებული, ბრძოლის ველიდან ილტვოდა ანტონიოსი. რომაელმა მხედრებმა ფარაონის სასახლეს ალყა შემოარტყეს. ფარულ გამოსავლით გამოვიდა ნილოსის პირად კლეოპატრა. ნილოსი ლურჯად კამკამებდა. ნილოსის ზეწარში გამოხვეული სამწუხარო ლოცვას თითქოს სწირავს შემოქმედსო, მკრთალი მთოვარე ცის კამარაზედ თავის გზას ისევ განაგრძობდა. მისი კაეშნიანი სახე ნილოსის ტალღებში იხატებოდა და ცელქი ზვირთი ჰკითხავდა: „რისთვის ხარ მოწყენილიო?" ნიანგი ისევ იმ ალაგას გაწოლილიყო და პირი უფრო დაეღო. „ყველაფერი გაჰქრება" მოესმა კლეოპატრას და ხმა იგი იცნო. მან აიღო შხამის ფიალა. რომ ეკავა, და სულ-მოუთქმელად გამოსცალა. დაუსრულებელ ტანჯვის გამოხატავდა მისი სახე. მას ზედ დასთამაშებდა ღიმილი უკვდავებისა და სიკვდილისა, თითქოს ორი მოსისხლე მტერი შერიგებულიყო. მისი ღაწვები ცეცხლივით ღუოდნენ. ვერ მოითმინა ნიავმა და კოცნით დააკვდა. „უკვდავი არის ამაოება",—აღმოხდა კლეოპატრას, თითქოს ვისმეს ელაპარაკებოდა. ნილოსის ტალღებმა განიმეორეს ეს მწუხარე ამოძახილი და დუმილმა მიდამო შთანთქა...

ტ. ტაბიძე.

გამარჯვებული. მხოლოდ წლევანდელი საღამო უფრო მინარსიანი იქნება.

—22 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 73 უპასპორტო.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

ქალაქის თავისა და მდივნის არჩევნები.

20 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზს დიდძალი საზოგადოება მოაწყდა: მთელი დარბაზი ისე გაიჭედა, რომ ხმოსნების თავისუფლად დასაჯდომი ადგილიც კი აღარ დარჩა. ყველა დაინტერესებული იყო იმით, თუ ვინ იქნებოდა არჩეული ქალაქის თავად, რომელსაც დიდი ხანია [illegible] ცარიელებული სავარძელი. [illegible] ნ. ი. ნიკოლაძეს ჯერ ქუთაისში, შემდეგ ფოთში და ბოლოს პეტერბურგში, მაგრამ ვერას გახდნენ—ვერ დაითანხმეს ქალაქის თაობაზე: ფოთელები არ მიუშვებდნენ. ბოლოს, როდესაც პეტერბურგიდან კატეგორიული უარი მოვიდა ბ-ნ ნიკოლაძისაგან, ხმოსნებმა ისევ ადგილობრივ დაიწყეს თავის ძებნა. რამდენჯერმე დაინიშნა კერძო თათბირი და დასახელებულ იქმნა რამდენიმე კანდიდატი. ამათგან ახლანდელმა ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ, კიდევ ორის თვის წინად უარი განაცხადა კენჭის ყრაზე და ახლაც თავის სიტყვას ბეჯითად ადგია. კატეგორიული უარი განაცხადეს აგრეთვე: გრ. ი. გველესიანმა, რომლის კანდიდატურას დაჟინებით ასახელებდა ხმოსანთა ერთი ჯგუფი, თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ, ი. მ. ლორთქიფანიძემ, ი. მ. ჩიქოვანმა და სხ. დასახელებულ კანდიდატთაგან დარჩნენ ი. ს. ფანცხავა, რომელსაც ბარათებით ყველაზე მეტი ხმა მოუვიდოდა, და კ. ნ. ჩიკვაიძე. ამ ორ კანდიდატს ხმოსანთა უკანასკნელ კერძო თათბირზე, 18 ნოემბერს, გამოსაცდელად დაუდეს ყუთები, ი. ს. ფანცხავამ მიიღო 21 თეთრი და 13 შავი, კ. ნ. ჩიკვაიძემ 10 თეთრი და 24 შავი. ამის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩა მხოლოდ ბ-ნ ფანცხავას კანდიდატურა, რომელმაც თანხმობა განაცხადა კენჭის ყრაზე. ქალაქის თავის გარდა ასარჩევი იყვნენ კიდევ გამგეობის ერთი წევრი და ქალაქის მდივანი. სანამ არჩევნებს შეუდგებოდა, საბჭომ მსჯელობა იქონია ასარჩევ პირთა ჯამაგირების განსაზღვრის შესახებ. საბჭომ ფარული კენჭის ყრით ყველას ძველი ჯამაგირები დაუტოვა; ე. ი. ქალაქის თავს წლიურად 3000 მანეთი, გამგეობის წევრს—1800 მანეთი და ქალაქის მდივანს 1200 მანეთი (მასვე ეძლევა სასამართლოს საქმეების საწარმოებელი 410 მანეთი). შემდეგ შეუდგნენ ქალაქის თავის არჩევას. ჯერ ბარათებით დაასახელეს კანდიდატები, რომელთაგან ი. ს. ფანცხავამ მიიღო 21 ხმა, კ. ნ. ჩიკვაიძემ 6 ხმა, და თითოოროლი ხმითაც რამდენიმე კაცი იყო დასახელებული. რადგან ბ-ნ ფანცხავას გარდა ყველამ უარი განაცხადა (ბ-ნი ჩიკვაიძე სულაც არ დასწრებია კრებას) კენჭის ყრაზე, ყუთი მხოლოდ ბ-ნ ფანცხავას დაუდგეს. აღმოჩნდა, რომ ი. ს. ფანცხავა არჩეულ იქმნა ქალაქის თავად 23 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 15 ხმისა. ბ-ნმა ფანცხავამ მოკლე სიტყვით მიმართა საბჭოს, მადლობა გამოუცხადა ასეთ ნდობისათვის და აღუთქვა, რომ თავის მხრით ეცდება გაამართლოს ეს ნდობა, თუ, რასაკვირველია, საბჭოც მას მხარს დაუჭერს მუშაობაში.

ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები სხვა დროისთვის გადაიდო. კანდიდატად ჯერ-ჯერობით ასახელებენ მარტო გრ. ი. გველესიანს.

ჯერი მიდგა ქალაქის მდივნის არჩევაზე. საბჭომ მოითხოვა, რომ მდივნად ერთხმად ყოფილიყო არჩეული კენჭის უყრელად ისევ ძველი მდივანი დ. ნ. ავალიანი, მაგრამ თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ საქალაქო დებულების ძალით, ყველა თანამდებობის პირი აუცილებლად ფარულ კენჭის ყრით უნდა იქმნას არჩეული. ყუთი დაუდგეს მხოლოდ ბ-ნს ავალიანს, რომელიც არჩეულ იქმნა 37 ხმით, წინააღმდეგ ერთის ხმითა.

ისარი.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

ძველ-ნაწერების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ სასულიერო მწერლობა ჩვენში ძლიერ ყოფილა გავრცელებული, რომ ბიბლიის თარგმანი თვით ნინოს დროსა და მის მომდევნო [illegible] საუკუნეებში [illegible] ყოფილა. ან რომ [illegible] არამც თუ [illegible], რომელსაც მთელი მსოფლიოს [illegible] სწავლობდა ბიბლიას, თარგმნიდა, ხსნიდა, განმარტავდა, როდესაც მას [illegible] 72-ნი (ალექსანდრიის თარგმ.) ეზრა, სვიმაქოს, აკვილა, თეოდოტიონი (II საუკ. ქ. შ.), მასორეტები, ლუკიანი (+254 წ.) და სხვ. ჩვენში [illegible] ჯერ ისევ ნაბუქოდონოსორის დროიდან [illegible] გაქართველებული ებრაელობა; აქ ყველგან, თვით სატახტო ქალაქ მცხეთაშიაც კი, ჰქონდათ თავიანთი საყდრები, ხოლო კოდის-წყაროს საკუთარი მწიგნობრები. ესენი როგორ არ მოიგონებდნენ ბიბლიას? რომ ეს წიგნი მცხეთაში ადრევე იყო, სჩანს [illegible] მირიანმა გაქრისტიანება გადასწყვიტა მაშინ, როდესაც თავისი წიგნი [illegible] თარ მღვდელს [illegible] (ბაბილონს).

ჩვენს ასეთ მეცნიერულ [illegible] რომელიც აღმოჩნდა [illegible] გახლავთ ხელნაწერი № 570 (ტფილ.), № 646, № 51 და № 471. ოთხივე ბიბლიურ ტექსტის ოთხ ვარიანტს წარმოადგენს. № 471 პირი 978 წელს გადაწერილი ბიბლიისა, ორი პირველი არ არის დაყოფილი არც თავებად და არც მუხლებად (ტექსტი მიყოლით სწერია), ხოლო დაყოფილია № 51-ში*). ენისა და სხვა ნიშნების მხრივ № 570 და № 646 ტექსტი ჩვენ მიგვაჩნია ძველად არა უგვიანეს მეექვსე საუკუნისა. აქ ამ ნიშნების ჩამოთვლაზე არ შევჩერდებით, საკმაოა დავასახელოთ ისეთი სიძველენი, ვით თვეების სახელები წარმართულ დროისა. ისეთი სიტყვები, როგორც მერთი (ღმერთი), ღმერცა, მანაა (მენიშნება; მეგრ. მანუა—ტუსკა; ლერწმულში შეწირვა), მიტევებით (იუბილე), ბედეში (მეგრ. ბადეში), ულუკი, [illegible], კბი (სვეტების მრგვალი ბუშტები), მოხელი (ჯერი), [illegible], წინამცორველი, უკანაწარ (პირისპირება წინასწარს), ეტერი (=სვან. დიარ—პური, მეგრ. დიარუა—ძოვი), ხარისტი (ქვით დაფენილი იატაკი) და მრ. სხ. ამ მხრით ფრიად საგულისხმიეროა ისიც, რომ თვით კოდექსს მიჰყვება აგრეთვე შედარებები ზემოდასახელებულ სვიმაქოსიდან და აკვილადამ (ამათი ტექსტები ორიგენის ნამუშევარს (3 საუკ.) დაუცავს).

ამ ვარიანტების აღმოჩენა დიდ მნიშვნელოვან ბედ მიგვაჩნია. ჩვენს ტექსტებს უძლიერესი მნიშვნელობა აქვს არა თუ მარტო საქართველოს წარსულის გასაშუქებლად, არამედ ბევრ საეჭვო კითხვების გადასაწყვეტადაც. ჯერხნობით ჩვენ მოვყვანდით მეფეთა წიგნების ტექსტის შედარებას და ეს შედარებანი ლექსიკონიური დავაზრებით ჩვენს „ნაშრომში“, რომელიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. დანარჩენს ჩვენს ნაკვლევ-ნაძიებსაც მალე დავბეჭდავთ, თუ უსახსრობამ არ დაგვაბრკოლა.

მ. ჯანაშვილი.

---

*) ცნობილია დაყოფანი ბაბილონური, ტიბერიადული და მასორეტული.

პატარა ფელეტონი

მწარე სინამდვილე!

ჰღირს ამ ქვეყნად ცხოვრება?!.. განა ეს ის ნილუსი ქვეყანაა, სადაც სიცოცხლე სდუღს და გადმოდის?!..

განა ეს ჰაერი, ცისფერ ნამი, მზის სხივები, ვარსკვლავთ კრებული ბადრის მთვარით, ფუფუნა ნაკადულები, მწვანე, კაკლუჯა ტყე-მინდორი, ფრინველთ მჟღერალ-ჟრიამულით აჩმაურებული, მთა-ბარი ნაძირ-საქონლით მოდებული,—არის ის სამფლობელო ადამიანისა, სადაც სიყვარული, სამართალი, თანასწორობა უნდა იყოს გამეფებული?!..

არა, ეს სულ სხვა ქვეყანაა: ტანჯვისა, წამებისა, პიროვნების შელახვისა, ნამუსის გაყიდვისა... ეს არის ეგოისტური, დამჯაბნელი, ღვარძლიანი, შავბნელი ჯოჯოხეთი!

ვაი, არა მგონია! ალბად სიზმარში ვარ!..

აგერ, დაჰხედეთ მაჯლაჯუნა მდიდარს, რა უშნოვად გასუქებულა, ძლივს ფშვინავს. რა ამაყად დაიარება გაძვალტყავებულ ჩონჩხის მსგავს მუშის ზურგზედ, უყურეთ, რა მედიდურად, [illegible] ღიმილით [illegible] თავის მონებს, [illegible] დაუყვნებია...

აგერ უყურეთ, რა დაუნდობლად [illegible] ხალხის [illegible] რამოდენი [illegible] მის სახეზე გამოსახული!.. [illegible] ხალხის მეგობარია!

ვაშ, რა რიგად მიზნის კრებაზე ახალგაზრდა ინტელიგენტი თავისის [illegible] თავისუფლება..

[illegible] თეატრი... დემოკრატიზაცია... და ათასი მწარე საკითხი ტანჯულ ხალხისა რა რიხით იქმნება წამოყენებული!

და როცა საქმე ამის შესრულებაზე მიდგება საქმე, მაშინ...

დახედეთ ერთი, რა თავ-მოყვარეობით [illegible] ქართველ დედა-ქალთა კრებაზე [illegible] და ზომების მიღებაზე, თუ რა რიგად შეაყვარონ ქართველ დედებს მშობლიური ენა..

რუსიანები არიან, საშინლად უყვართ ქართული ლიტერატურა!..

აქვე გადის ატუზული [illegible]

ჰო, არტისტია!.. მშიერ-მწყურვალე... ხელოვნების მსახური—ენის დამცველი, [illegible] რა უნდა [illegible]

უჰ ის რა [illegible] ხალხი მწკრივად ქუჩას მოსდევს.

ეს ხომ აქციზის შემოსავლის მცლაპავია!..

ხოლო მისდევს მთვრალი კაცსა და სცემს!

ვგლე...

ის რაღა ჩხუბია გამოკიდებული, ვეებერთელა შუშებიდან რომ სჭრის თვალსა?!.. ჰმ... რა უგუნური ვყოფილვარ! ეს ხომ ნამუსის დამფარავია ჩვენის ქალებისა!.. აქვე გვიხატავენ სამოთხეს მაჰმადისას!..

ოჰ, ეს რამ გაირბინა, ვილაც გასრისა!.. რამოდენა ხალხიც მოგროვდა ცნობის მოყვარეობით გატაცებული!..

ავტომობილი იყო!..

რა უშავს, ჰზღავს მუშის ნათელთა[illegible]!.. სხვისი სიცოცხლე ფეხზე ჰკიდიაა!..

ის რაღა ადამიანები არიან, რომ გულმოდგინედ ცნობებს კრეფავენ?..

ესენი ხომ რეპორტერები არიან. პრესის მსახურნი და...

უკან რომ დასდევენ აცა-ბაცა თვალებით ის რაღა ხელობის მოხელენი არიან?!..

„შპიკებს“ ეძახიან თვით რეპორტერები!. სხვა რა მოგახსენოთ, იქნებ ჰქონდეთ სხვა რამ საპატიო სახელი!..

ის რაღა ატუზულა შუა—ქალაქსა და გარეთ უბანში, ოთხ-სართულიანი?

ეგ სკოლები გახლავთ, სადაც ცემა-ტყეპასა და ქირურგიას ასწავლიან!..

ღმერთო ჩემო, ის რაღა უზარმაზარი გალიებია შუა ქალაქში?..

ისიც ციხე გახლავს!.. ენისა და რწმენის გამასწორებელი!..

ისინი ვიღა არიან, წიგნებით რომ დილით სალამოთი ლექციების მოსასმენად მიდიან? ეს ხომ ჩვენი კურსისტ ქალები არიან, მამა-კაცების გემოვნებას, აზროვნებას რომ ეფარებიან დროს შესაფერისად და „მოდურად“ მდგომარეობას ეწყობიან!.. ქალები არიან, ხომ მოგეხსენებათ!..

გმადლობთ, ღმერთო, რომ სიზმარში ვარ!.. „რის სიზმარი“!.. შემომყვირა მეგობარმა, „სინამდვილეა, მწარე სინამდვილე!..

გიორგი ფ[illegible]

ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან

პეტერბურგელ სტიპენდიანტების წერილისა გამო.

კიევი. უკვე სამი წელიწადია, რაც ქუთაისის თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძებ ფულიდან ათი ათასი მანეთი გადასდო ქართველ სტუდენტობის ღარიბ ნაწილისათვის. რამდენად ფულების გაწესრიგების დროს თავად-აზნაურობამ სამართლიანობა და უნარი გამოიჩინა, ეს ყველას კარგად მოეხსენება. როგორც ვიცით, დღევანდელ შავ-ბნელ ცხოვრებაში შენჩემობასა და ნათლიმამობას დიდი გასავალი აქვს. ამ გზას ვერც ქუთაისის საკრებულოს ასცდა. ჩვენ ქუთაისის საკრებულოს ძველ ცოდვებზე არ შევჩერდებოდით, ხმასაც არ დავძრავდით, ვინაიდან მისი გასწორება ჩვენს ხელთ არ არის, რომ ოდესმე მაინც დასდგომოდა სწორ გზას. ქუთაისის საკრებულო, რაც დრო მიდის, სტიპენდიების მოწესრიგებაში არამც თუ ასწორებს თავის შეცდომებს, არამედ კიდევაც გვემუქრება. როგორც ამას პეტერბურგელ ამხანაგებისაგან ვგებულობთ, რომ იანვრიდან სრულიად მოგვისპობთ სტიპენდიებსაო. ამ გვარი მუქარა, მოკლებული იურიდიულ და ზნეობრივ მხარეებს, სამაგალითო ნიმუშია დღევანდელ დუხჭირ ცხოვრების დასახასიათებლად. თუ სტიპენდიების მოსპობას თავად-აზნაურთა საერთო კრების კოლექტიური გადაწყვეტილების ხასიათს მივსცემთ, მაშინ შეიძლება ამ ფაქტს შეურიგდეს ადამიანი; მგონი კიდევაც გასახარელი იქნება თუ ამ ფულებს იგი მეტ სიმპატიურ საქმეში გამოიყენებს. მაგრამ, როგორც ვიცით ჯერ-ჯერობით ამგვარი კრება არ ყოფილა, სადაც ჩვენთვის სტიპენდიები მოესპოთ. საერთო კრების გადაწყვეტამდე მუქარა და ბაქიობა კი, როგორც ამას ზოგიერთი საკრებულოს ახლოს მდგომი პირები სჩადიან, არ არის საკადრისი. ამ ბატონებს ავიწყდებათ, რომ ქუთაისის საკრებულო რომელიმე პიროვნების საკუთრებას როდი შეადგენს, არამედ იგი მთელ გუბერნიის თავად-აზნაურთა დაწესებულებაა. სტიპენდიების დანიშვნა ეს საერთო კრების გადაწყვეტილება იყო და მე მგონი მასვე ეძლევა უფლება მოსპოს იგი. ამ რიგად საკრებულოში ზოგიერთ [illegible] თავად-აზნაურს არავითარი ზნეობრივი და იურიდიული უფლება არა აქვს რაიმე უაზრო მუქარით გვაშინონ და გვამწარონ. ვიმეორებ, თუ ფულები მეტ სიმპატიურ საქმეებში მოიხმარა ჩვენმა თავად-აზნაურობამ, რაც ძლიერ მეეჭვება, ძლიერ სასიამოვნო იქნება. დიდი ხანია, რაც „სახალხო გაზეთის“ მესვეურნი გაიძახიან, რომ ქართველ სტუდენტობაზე ერთი მილიონი მანეთი იხარჯება და მის მაგიერ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ემსახურონ იმ ხალხს, რომლის ჯიბიდანაც ეს ფულები ამოდის, მოხელეთა რაზმს ავსებენ და ისედაც გამძვალტყავებულ ხალხს მეტ ბარგად თავზე აწვებიან; ამიტომაც საჭიროა სტიპენდიები სრულიად მოესპოთ და ფულები კარგს საქმეში გამოიყენონო. თქმა არ უნდა, ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტის ასეთი აზრი, მეტად სიმპატიურია, თუ იმ ფულებს, რომელიც ჩვენს სტუდენტობაზე იხარჯება, ის დანიშნულება მიეცემა, როგორც ეს სწადიათ „სახალხო გაზეთის“ მესვეურთ. ამ საკითხს, [illegible] ახალციხელმა რამდენიმე წერილი უძღვნა, როგორც ქართულ, ისე რუსულ გაზეთებში. ჩვენ გ. ახალციხელის წერილების დიდად აზრს ვემხრობით, მხოლოდ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ სტიპენდიები სავსებით მოისპოს. როგორც ვიცით, ყველა საუნივერსიტეტო ქალაქებში საზოგადოებანი არსებობენ, რომლის მიზანს შეადგენს ღარიბ სტუდენტობის დახმარება და ეს საზოგადოებანი მეტის ხალისით მუშაობენ. ფართე მასსისა და სტუდენტობის შორის ხიდი როდი უნდა ჩატყდეს! სტუდენტობა საზოგადოების ის ნაწილია, სადაც ჯერ კიდევ სჩქეფს სამერმისო კეთილშობილური იდეალები. ადგილობრივ რედაქციაში („Кіевская мысль“) ერთმა პროვინციელმა მკერავმა ქალმა სამი მანეთი გამოგზავნა და სთხოვდა რედაქციას, ეს ფულები ღარიბ კურსისტ ქალებს მოახმარეთო, სულით და გულით მინდოდა მეტი გამომეგზავნა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შევკრიბეო. ხშირად არის ხოლმე, რომ ამავე რედაქციაში შემოდის ტანისამოს-დაფლეთილი და ხელებ-დახეთქილი მუშა და უკანასკნელ კაპეიკებს სტოვებს ღარიბ სტუდენტობის დასახმარებლად. აქედან ცხადია, რომ სტუდენტობასა და ხალხს შორის ჯერ-ჯერობით მჭიდრო კავშირი არსებობს.

თქმა არ უნდა, დღევანდელ სტიპენდიების საქმე ვერ არის კარგად მოწესრიგებული, ამიტომაც იგი მიზანს ვერ აღწევს. ფულების გაწესრიგება მაშინ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში, როდესაც ამის უფლება თვით სტუდენტთა ხელში გადავა. ქუთაისის საკრებულოს სტიპენდიების მოუწესრიგებლობამ უკვე კარგი ხანია, რაც თავი იჩინა. თითქმის ყოველ წელს შეხვდებით „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე სამშობლოს მოშორებულ ქართველ სტუდენტობის პროტესტს ქუთაისის საკრებულოს წინააღმდეგ, მაგრამ საკრებულო მაინც თავისას არ იშლის, ფულის გაგზავნ-გამოგზავნაში კვლავ ხარისხ [illegible]. საკრებულოს წარმომადგენელნო! თქვენ მიერ დანიშნულ თხუთმეტ მანეთისთვის სწავლის ფულიდან არ გვანთავისუფლებენ, რომელიც ას მანეთს უდრის, კერძო დახმარებას არავინ გვიწევს, ვინაიდან ჩვენც სტიპენდიანტად გვთვლიან, თქვენ კი ფულებს დანიშნულ ვადაზე არ აგზავნით. აბა ერთი გამეცით პასუხი, რომელს თქვენგანს შეუძლიან სამი-ოთხი თვე უფულოდ იცხოვროს უცხო ქვეყანაში? ან და შესაძლებელია, რომ ადამიანმა რაიმე მეცნიერება შეისწავლოს, როდესაც მას საფიქრებელი აქვს, რა რიგად იშოვნოს ხვალისთვის სადილის ფული ან და რა რიგად გაუსწოროს ანგარიში სახლის პატრონს? ცხადია, რომ ის ახალგაზრდა, რომელიც ოთხი-ხუთი წელი ამ პირობებში იქნება, ის მეცნიერების ვერავითარ დარგს ზედმიწევნით ვერ შეისწავლის და სამერმისოდ სუსტი და უვარგისი მოხელის გზას უნდა დაადგეს,

თქვე დალოცვილებო! ან გზავნეთ ფული თავის დროზე, ან და სავსებით მოგვისპეთ; მაშინ ცხადი იქნება მაინც ჩვენთვის, თუ რა გზას უნდა დავადგეთ. პეტერბურგელ ამხანაგების პროტესტს თქვენს წინააღმდეგ, რომელიც „სახალხო გაზეთის“ 144 ნომერში იყო, სავსებით უერთებ ჩემს ხმას, მხოლოდ არ შემიძლიან მოვიწონო მათ წერილის უკანასკნელ სტრიქონებს, რომლის შინაარსიც შემდეგია: „პირველად და უკანასკნელად მოგმართავთ, თქვენი მოვალეობა შეასრულოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით უმაღლეს მთავრობას მივმართოთ, რათა წესრიგი შეიტანოს სტიპენდიების კრედიტში; იმედი გვაქვს ამ ჩვენს მიმართვას სხვა ქალაქების სტიპენდიანტები დაუჭერენ მხარსაო.“—ჩემის ფიქრით ამგვარ მოქმედებას ყოველი ჩვენგანი მხარს ვერ დაუჭერს. უკეთესია სხვა ზომებს მივმართოთ, ბრძოლის სხვა საშუალებანი გამოვიძებნოთ; მხოლოდ მაშინ შეიძლება მხარის დაჭერა და საერთო გალაშქრება, როდესაც შენს გალაშქრებას კულტურულ-ადამიანური ხასიათი აქვს. უკეთესია მივმართოთ ქართველ საზოგადოებას, ქართულ გაზეთებს; ღეე, მათ დახმარებით დღევანდელ ქუთაისის საკრებულოს ბატონ-პატრონთ. ჩემის ფიქრით ამაზე მეტი დასჯა შეუძლებელი იქნება, თორემ უმაღლეს მთავრობის წინაშე, სხვას რომ თავი გავანებოთ, ყოველთვის გაიმართლებენ თავს.

გ. ჩხეიძე.

დღევანდელი ამბავი

ფოთი. დღევანდელმა [illegible] [illegible] და [illegible] ძველ [illegible] დაბეზღება, [illegible] პიროვნების ფეხ-ქვეშ [illegible] ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. აგრეთვე მეტის მეტად გახშირებულია ქურდობა, შანტაჟისტობა და სხვა ასეთი არა-სასიამოვნო მოვლენები. ამ [illegible] დროს შესდგა ერთ-გვარი ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაუსახავს, [illegible] დაწესებულება ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. [illegible] შედის ზოგიერთი მოინტელიგენტო ხალხიც. თუ ასე განაგრძეს, ეჭვი არაა იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გამოვაცხადოთ ადგილობრივ გაზეთებში.

ხაიმ შაევგრმანი.

—

დ. ონი. ყველაზედ უფრო საჭირბოროტო და გადაუდებელი საკითხი დ. ონში სამკითხველოს საქმეა. სამკითხველო აქ მეტად სულთ-მობრძავ ავადმყოფივით ბოგინობს, ცოცხალ-მკვდრად ჰქადავს სულს და არ იქმნა მისი არც გარდაცვალება და არც გამობრუნება. ამ ბოლო დროს მთელი მისი ავლა-დიდება მარტო „სახალხო გაზეთზე“ დადგა, მაგრამ ალბად ამის გზავნასაც მალე მოგვისპობს რედაქცია და მაშინ-კი თავისუფლად [illegible]: „განსვენების“ [illegible] ერთად-ერთ კულტურულ დაწესებულებას დ. ონში. დანარჩენი [illegible] გაზეთი [illegible] დემოკრატიულ ნაწილის [illegible], რომელიც სამსახურის [illegible] სამკითხველოს [illegible].

[illegible] სამკითხველოს [illegible] —ამ [illegible] [illegible] ფული, [illegible] [illegible] ფულის [illegible] [illegible] სამკითხველოს [illegible] [illegible] ფული [illegible] [illegible].

აბდუკანტე.

—

ქუთაისი. წელს აქაურ ბაზარში, სექტემბრიდან დაწყებული დღემდე [illegible] 50—80 კაპ., დღეს კი [illegible] [illegible] მაგრამ, [illegible] ისინი მაინც დღეს თავის [illegible] [illegible] [illegible] გაუდით. [illegible] [illegible] თავ-მარჩენის თვის, [illegible] [illegible] [illegible] [illegible]?!.

[illegible]

[illegible] მისცემთ [illegible] [illegible] [illegible] და თუ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] სხვა და სხვა [illegible]

ბმ გასსუიდად, მაგრამ ყოველივე მასისხლად იყიდება, რადგან სოფლელს მაშინვე აქ „შებუდგებიან" ან სხვა ხარხები უხნდებიან, ზედ მეტ ფასს ძლევენ, რათა შემდეგ მოგებით მიჰყიდონ ღარიბ მცხოვრებლებს; ამის გამო ღარიბი ხალხი რჩება ცაღიერი. დიდიხან ნიხრის დაარსებისა მთელის მეუსბეები მაინც გირვანქა ხორცს 11 კაპეიკ მაგიერ 12 კ. უიდიან; რამდენიც გინდათ შეუდგინეთ ოქმები, ისინი თავისას არ იშლიან. საზოგადოდ ეს განაპირა ნაწილი ქალაქისა და მასთან „ძველი ბანკის" უბანი მეტად უყურადღებოდ არის მიტოვებული ქალაქის გამგეობის მიერ: არც გზებია აქაურებისთვის, არც სავალი განათება, არც სანიტარული მეთვალყურეობა, არც ღამე ძილი—მოქეიფე ბაზრის ხალხთა „შარმანკებით" ქუხა-ქუხა ხუტიალისა გამო და არცა მოსვენება—ქურდებ-ბაცაცებისაგან. პოლიციას აქეთ ვერ ნახავთ; თუ დასჭირდათ ვისმეს, ან მოჰკლავენ, შეიძლება მაშინ ჩამოიაროს პოლიციელმა ეტლით. აქაურ მცხოვრებლებს კი ქალაქის გადასახადები ყოველგვარი ხდებათ. კვირა-უქმე დღე თეატრში ვერ წასულან, რადგან ზამთარშიაც თეატრი ღამის რვა საათზედ იწყება, პირველ საათზედ თავდება და მერმე არ გინდათ სახლში წასვლა?!.. იმ მიყრუებულ, გაუნათებელ ქუჩებში დაგხვდება ვიდაც ჯიბგირი, გძრცვს უცნიდან, წაგაქცევს და თუ რამე მოგეძებნება აგაცეცქნის; იყვირეთ, რამდენიც გინდათ... ბოროტ-მომქმედი გაძრის, მერმე შეიძლება პოლიციელი გაჩნდეს და ისეც შენ წაგიყვანს პოლიციის ნაწილში, „ბოქაულს უნდა მოეხსენოთო". ამის გამო აქაურები ვერ სარგებლობენ თეატრით. არ იქნება ურიგო, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა ზამთრის სეზონებში ექვს საათზედ დაიწყებდეს წარმოდგენას, რათა განაპირა უბნების მცხოვრებლებმაც ისარგებლონ. ნეტავ როდის გათენდება აქაურებისათვის?!... ან განახლებული საბჭო რას გვიპირებს?!... მეექვსე დღეა, რაც ქუთაისში მეტად დონიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქრის, თან ყინვებიც შეაყოლა და საგრძნობლად აციოდა; ღარიბი ხალხი კი ჯერ მოუმზადებელია საზამთროდ. მადლობა ღმერთს, წლეს სიმინდის ფქვილი მაინც იაფია, ფუთი ათ თერთმეტ შაურად იყიდება, შეშა კი გაძვირდა, რამაც მეტად შეაწუხა შეუძლო ნაწილი მცხოვრებლებისა. **ლადო ბზვანელი.**

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. დიდის ხნის მზადების შემდეგ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა სომეხთა მწერლის შირვანზადეს ახალი პიესა „ევგინე", 3 მოქმედებიანი დრამა, თარგმანი ყ. კ—სა. პიესის შინაარს ქართველი საზოგადოება უკვე იცნობს; ამიტომ საჭიროდ არა ვსთვლით მის გადმოცემას. ორიოდე სიტყვით კი პიესის ჩონჩხი ასეთია: მიჰრანა აღუვერდიანის ცოლი ევგინე გათხოვებამდი შეუცდენია გაბრო აზარიანს. ევგინე თავის თავს მიჰრანას ულირსად სთვლის. მას სტანჯავს სინიდისის ქეჯნა, რომ ატყუილებს თავის მოსიყვარულე ქმარს, რომელმაც მისი წარსულისა არაფერი იცის. დიდის ხნის ტანჯვის შემდეგ ის ყველაფერში გამოუტყდება ქმარს. უკანასკნელს თავზარი დაეცემა; მის აღშფოთებას, მის გახელებას საზღვარი არა აქვს. ერთს წამში ის მზადაა თავისივე ხელებით დაახრჩოს თავისი საყვარელი არსება. მაგრამ სძლევს თავს; გრძნობას გონებას დაუმორჩილებს; გაიხსენებს თავის წარსულსაც; მოიგონებს, რომ არც ის შეხვედრია „წმინდად" ევგინეს, რომ მასაც აქვს სიყმაწვილეში ჩადენილი ასეთი „ცოდვები" და, მიუხედავად იმისა, რომ მართა ტერტერიანი მიჰრანას „დამწვარზე მდუღარეს ასხამს" და კატეგორიულად მოითხოვს მისგან ევგინეს სახლიდან გაგდებას,—მიჰრანა ყველაფერს აპატიებს ცოლს.

პიესის თემა, როგორც ხედავთ, „არ ახალია, ძველია". ხოლო, როდესაც ძველს თემაზე სწერს კაცი, მიუცილებელი საჭიროა, რომ ძველი ჩონჩხი ახალის ტანისამოსით შემოსოს, მხატვრული ფორმებით შეამკოს, ცოცხალ, ფერადის საღებავებით შეალამაზოს და ამგვარად ძველი თემაც კი საინტერესოდ გახადოს. სამწუხაროდ, ასეთს დამაინტერესებელს შირვანზადეს „ევგინე"-ში ბევრს ვერაფერს ვხედავთ. ასე რომ, ჩვენის ფიქრით, ხსენებულ პიესას თითქმის არაფერი შეუძენია ჩვენის დრამატიულ ლიტერატურისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მის კატალოგს ერთი თარგმნილი პიესა მოემატა.

პიესა სასცენოდაც ვერაა მოწყობილი და შთაბეჭდილებას ნაკლებს სტოვებს.

თამაშის მხრით მსახიობებმა პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა, თუმცა, ჩემის ფიქრით, უკეთესი კი იქნებოდა, რომ ქ-ნთ წუწუნავასა და ლოლობერიძის ასულთ შეეცვალათ როლები.

დასასრულ წარმოდგენილ იქმნა ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „ჩვენს შემდეგ", რომელიც იმდენად „მხიარული" გამოდგა, რომ კინაღამ დააძინა საზოგადოება.

სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი უგემური წარმოდგენა ამ სეზონში ჩვენ არ გვინახავს. საზოგადოებაც ასე მცირე ამ სეზონში არ დასწრებია წარმოდგენებს. რა ვუყოთ: „ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო". **ისარა.**

უცხოეთი

მღელვარება პორტუგალიაში.

ცნობილ პოლიტიკოსთა შიში—პორტუგალიის რესპუბლიკა ხან-მოკლეა—თითქოს მართლდება. უკანასკნელ ხანს პორტუგალიას მღელვარება და არეულობა საშინლად მოედო. სამწუხარო ის არის, რომ დროებით მთავრობასა და რევოლუციონერთა შორის ჩამოვარდნილმა უკმაყოფილებამ უკვე ფრთები შეისხა და დღეს-ხვალ საშიშს საფრთხეს უმზადებს ნორჩს რესპუბლიკას.

გაფიცვები ხომ მთელს რესპუბლიკას მოედო.

ყველაზე დიდი სენსაცია პორტუგალიაში გამოიწვია ლისაბონის გაზეთში დაბეჭდილმა წერილმა. გაზეთის პატრონია ერთი გავლენიანი რევოლუციონერი მაშადო სანტოს, რომელიც წერილში, სხვათა შორის, ამბობს რომ რევოლუციის მომხრენი სამხედრო პარტია მზად არის ხელმეორედ მოახდინოს რევოლუცია რესპუბლიკის დასაღუპავად. მაშადო სანტოს გამოაშკარავებას ზოგიერთი ჰხსნის მის ანგარიშით—დიდის თანამდებობის ხელში ჩაგდება ჰსურსო.

გერმანიის ამბები.

როგორც ბერლინიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, 18 ნოემბერს შტეტინში კონსერვატორებს დიდი კრება გაუმართავთ. კრებას დასწრებია ვეიდენბრანდი და კონსერვატორთა სხვა გამოჩენილი ბელადნი. კონსერვატორთ საშინლად გაულანძღავთ მთავრობა—სისუსტეს იჩენსო. კრებას მიუღია რეზოლიუცია, რომლითაც თხოულობენ საგანგებო კანონთა გამოცემას სოციალისტთა წინააღმდეგ და მეფის ტახტის დაცვას დემოკრატიის იერიშებისაგან.

ლიბერალებიც, რა თქმა უნდა, არა სცხრებიან და სასტიკი იერიში მიაქვთ მთავრობაზე. ზოგიერთი ლიბერალებიც კი არა მალავენ თავიანთ აღშფოთებას და ხმა-მაღლა აცხადებენ, რომ მონარქია კონსერვატორებთან შეთანხმებით და მათ ძალაზე დაყრდნობით თვითვე იმზადებს საშინელებასო. მათი გაზეთები საშინლად ლანძღავენ როგორც კანცლერს, ისე იმპერატორს ამას წინად კენიგსბერგში წარმოთქმულ სიტყვისათვის, და დასძენენ: გერმანიას დიდი კრიზისი მოელის, თუ კანცლერის ახლანდელ პოლიტიკას და იმპერატორის უკანონო გამოლაშქრებას დროზე ბოლო არ მოეღოო.

რუსეთი

მწერლის დაპატიმრება.

პეტრეპავლეს ციხეში ჩასვეს მწერალი ელპატევსკი, რომელსაც ერთის წლით დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი.

ბურცევის აზრი აზეფის გამო.

სათათბიროს ყველა ჯგუფებმა ბურცევისაგან აზეფის შესახებ წერილი მიიღეს. ამ წერილებით ბურცევი თხოულობს, რომ აზეფის საქმე კვლავ განიხილონ. ბურცევს ახალი საბუთები მოჰყავს, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საქმისათვისაც უცნობებია. ასეთივე წერილები ბურცევს შინაგან საქმეთა მინისტრისათვისა და რედაქციებისათვის დაუგზავნია.

მიმართვა გეგეჭკორისადმი.

ბათუმის ციხეში დაპატიმრებულთა ცოლებისა და ძმებისაგან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გეგეჭკორმა დეპეშა მიიღო.

დეპეშაში ნათქვამია, რომ ციხის დარაჯებმა ტუსაღებს ესროლეს და ორი დასჭრეს. ციხეში სიმშილობაა გამოცხადებული. დეპეშას ავტორები სთხოვენ დეპუტატ გეგეჭკორს, რომ ამ საქმის თაობაზე სათათბიროში მოხსენება შეიტანოს. გეგეჭკორმა ეს დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგ კრიჟანოვსკის გადასცა. კრიჟანოვსკი შეჰპირდა, რომ ამ საქმის გართულებას შევაყენებო.

ტოლსტოის მიმდევრის დატუსაღება.

პიატიგორსკში დაუტუსაღებიათ ტოლსტოვის მოძღვრების მიმდევარი დიუბა, რომელსაც ჯარის-კაცად გასვლაზე, თავის რწმენისამებრ,—უარი უთქვამს.

საშინელი ყინვა.

ტაშკენტში ძლიერის ქარ-ბუქის დროს რკინის გზის ლიანდაგზე 100 მეტი კაცი გათოშილა. მატარებლები შუა გზაზე გაყინულან და გაჩერებულან. ყინვა 35 გრადუსს აღემატება.

განცხადებანი

სხვა და სხვა წამლების საწყობი
ი. ახობაძისა
გადავიდა ახალ ბინაზე მუხრანის ქ. № 8 საწყობში ისყიდება: „**სპერმატინი**" კბილის წამალი **ელმეზა, კრემ ნოლლი**, რომელიც არბილებს ხელებსა და სახეს. აგრეთვე **ციებ ცხელების** წამალი.
წიგნაკები უფასოდ.
წამლები იგზავნება ფას დაკლებითაც.
(10—237—1)

ხელსაყრელი ფასიანი ქაღალდები
შემოსავლიანი დიდის მოგებითა და უფასოდ დაზღვევით 5 წლის განმავლობაში, ცნობები უფასოდ იგზავნება.
ფასიან ქაღალდების სავაჭრო ამხ.
ბერნარისა და კ ო,
(პარიზი),
სევასტოპოლის ბულვარი 30—1.
მიწერა და მიმართვა შეიძლება რუსულად საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილების მარკის ფასი ღირს 4 კ., დახურულისა 10 კაპ.
Метцль и К-о 89747. (234 5—1)

დოქტ. ნავასარდიანისა
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. ვეეფსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოცდილი მასწავლებელი
განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პ ა ნ ს ი ო ნ ში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).
მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.
ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала).
(თ—152—25)

◀ მშობიარეთათვის ▶
თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.
ოლღას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—719)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული"
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. **მარლეის აჩრდილი**,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართველი მხატვრული ახდემი კუბიკებზე.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის, ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

ვ. გუნიას დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

გამოცემა
მიხეილ ნემსაძისა
ფასი 10 კაპეიკი,
ადრესი:
ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა
ტელეფ. № 278.

წიგნის გამომცემლობა
„კულტურა"
პატივისცემით სთხოვს თავის აგენტებს, რომ დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, რადგან მხოლოდ უფულობის გამო შევაჩერეთ ხელიდა ვისაც ფული გადახდილი აქვს თავის დროზე იმასაც ველარ ჩავაბარეთ. კიდევ ვიმეორებთ, უკეთუ ამ თვის დამლევამდე ფულებს ვერ მივიღებთ, იმ აგენტებს და ხელის-მომწერლებს წიგნები არ გაეგზავნებათ. ფული **მხოლოდ** ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, **კ. თავართქილაძე.**
ვისაც პირადათ საქმე აქვთ ჩვენთან, კანტორა იმყოფება სემინოვის ქ. № 4, სტამბა „ნადეჟდა"-ში. (3—1)

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
მ. ლაღიძისა და ამხ.
მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილი. წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.
წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვ ნელობით.
◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶
ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411.
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—13)

ცენტრალური აზიური ბუფეტი
პურ-ღვინო
ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.
✦ **ვაჭრობა ღამის 2 საათამდე** ✦
(20—160—11) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**

მომგებიან ბილეთების გაყიდვა
სახელმწიფო სესხით
ნაწილ-ნაწილ განაღდებით გადით **უზეოდ.** ბილეთის მთელი ფასი ნაღდდება ყოველ თვიურის 6 მან. შეტანით.
1-ლ შეტანის შემდეგ მყიდველი მონაწილეა მოგებათა მახლობელ ტირაჟში.
პირველი შესატანი 6 მან. შეიძლება გამოიგზავნოს ფოსტის მარკებითაც.
საბანკო სახლი ВАРШАВА, БРАТСКАЯ 18. **ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.** **სადეპეშო ადრესი:** „Варшава Ландаубанкъ"
Метцль 89563. (5—235—1)



ТРЕБУЙТЕ ЧАСОВЪ ИСКЛЮЧИ-ТЕЛЬНО ИЗЪ ПАРИЖА

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ
სწორე და მკვიდრი საათები!
ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ,
ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ტ ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ. უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS	S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშობუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.
(Мецль N 53647). (34—15—7)

აკადემიური ჭრის კურსები
● **პეტერბურგის გამომჭრელთა საზოგადოებისა** ●
ერთად ერთი რუსეთში. აღწერილობანი კურსების და ჭრის სახელმძღვანელოების' ა უფასოდ იგზავნებიან.
ს.-პეტერბურგი, ნევის პროს. 67. გამგეობა. (4—216—3) Метцль и Ко, 120735.

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● **მ ა ღ ა ზ ი ა ს** ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
—◀ პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ ▶—
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. 60 კ. გირ.
აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—38)
ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სტამბა „ს ი ნ ა თ ლ ე" რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი **ილოდიონ სონღულაშვილი.**